პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, თარგმნა გ. ქიქოძემ // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი II, გვ. 1-72, 1942

პლანო კარპინი (1182-1252) - იტალიელი ფრანცისკანელი ბერი, პირველი ევროპელი, რომელმაც რუბრუკამდე და ანდრე დე ლონჟუმომდე, მოინახულა მონღოლთა იმპერია. მან დაგვიტოვა თავისი მოგზაურობის აღწერა - ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ - მოიცავს 1245-1247 წლებს. ამ ტექსტში გვხვდება ცნობები ყაენის კარზე დავით ულუსა და დავით ნარინის ყოფნის შესახებ.

ქართველების შესახებ

ჩვენ იმპერატორის კარზე ვნახეთ რუსეთის დიდიმთავარი, კეთილშობილი იაროსლავი, აგრეთვე გეორგიის (საქართველოს) მეფის და დედოფლის ვაჟები[1], მრავალი სულთანი და სულთანთა მხედართმთავრები, რომელთაც ისინი სრულიადაც მართებული პატივისცემით არ ეპყრობოდნენ; რა დაბალი წოდებისაც უნდა ყოფილიყვნენ მათდამი მიყენებული თათრები, ისინი მათ წინ მიუძღოდნენ და ყოველთვის პირველ და მომაღლო ადგილს იჭერდნენ, მათ კი ხშირად უკან სვამდნენ[2].

•

თუ იმ ხელმწიფეებს, რომელნიც მათ დამორჩილდნენ, რაიმე სადაო შემთხვევა წარმოეშვათ, ისინი მის გასარჩევად თათრების იმპერატორთან უნდა გაემგზავრონ, როგორც ეს გეორგიის (საქართველოს) მეფის ორ ვაჟს მოუხდა ერთი მათგანი კანონიერი იყო, სახელად მელიქი, ხოლო მეორე--დავითი, გაჩნდა როგორც მრუშობის

[1] პლანო კარპინიმ დიდი ყაენის კარზე ნახა ლაშა გიორგის ვაჟი ულუ დავითი და რუსუდან დედოფლის ვაჟი დავით ნარინი, რომელნიც იქ მემკვიდრეობის დასამტკიცებლად იყენენ წასული.
[2] გვ.16.

ნაყოფი. ამ უკანონო ვაჟს მამამისმა თავისი სამფლობელოს ერთი ნაწილი დაუტოვა. მეორე, რომელიც უფრო ახალგაზრდა იყო, თავისი დედითურთ წავიდა თათრების იმპერატორთან, სადაც გაემგზავრა აგრეთვე დავითიც. მელიქის დედა, საქართველოს დედოფალი, რომელთანაც შეუღლების ძალით მისი ქმარი ამ სამეფოს ფლობდა, ვინაიდან იქ ქალები მფლობელობენ, გზაში გარდაიცვალა. მათ კი, მისვლის შემდეგ, მრავალი საჩუქარი დაარიგეს; განსაკუთრებით ბევრი საბოძვარი გასცა კანონიერმა ვაჟმა, რომელიც ითხოვდა, რომ მისთვის დაებრუნებიათ მამის მიერ დავითისთვის დატოვებული მამული, ვინაიდან, მისი სიტყვით, ის მრუშობის ნაყოფიიყო და არ შეეძლო მისი ფლობა. დავითი კი უპასუხებდა: თუმცა მე ხასის შვილი ვარ, მაგრამ სამართალს ვთხოულობ თათრების კანონის მიხედვით, რომელიც არავითარ განსხვავებას არ ხედავს კანონიერ ცოლისა და მხევლის მიერ დაბადებულ ვაჟებს შორისო. ამიტომ ეს საქმე კანონიერი ვაჟის წინააღმდეგ გადაწყდა: ის დავითს დაუმორჩილეს, როგორც უფროსს, რომელსაც უბრძანეს წყნარად და მშვიდობიანად დაუფლებოდა მამის მიერ დატოვებულ სამკვიდროს. ამრიგად, მელიქმა დარიგებული საჩუქრები დაჰკარგა, დათავის ძმის დავითის წინააღმდეგ წარმოებული სადავო საქმე წააგო

ისინიც მათგან შორს ცხოვრობენ და ისეთ ერებს მეზობლობენ, რომელთაც ისინი რამდენიმედ უფრთხიან ან ვერ დაუფლებიან; ისინი მათ უფრო ადამიანურად ეპყრობიან, რათა მათ ჯარები არ გამოგზავნონ თათრების წინააღმდეგ, ან კიდევ რათა სხვებს არ შეეშინოთ თათრებისადმი დამორჩილება. ასე მოექცნენ ისინი ობეზებს (აფხაზებს) ანუ გეორგიელებს (ქართველებს), რომელთაც, როგორც ვთქვით, 50 თუ 40 ათას ჰიპერპერს ანუ ბიზანტინს ახდევინებენ და სხვა მხრივ ამ მიზეზის გამო აღარ აწუხებენ. ამისდა მიუხედავად, როგორც მათგან გავიგეთ, მათ განზრახული აქვთ ამბოხება მოაწყონ[3].

[3] გვ. 37.

პლანო კარპინის მოგზაურობა





პლანო კარპინი

ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ
თათრებს ეუწოდებთ

ხოთარგმნა
ბერონტი ქიქოძე